№ 518
28.11.16

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2016 წლის 26 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე, პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის თანახმად, შეადგინა VIII მოწვევის პარლამენტში ინიცირებული და კომიტეტში განსახილველად წარდგენილი იმ კანონპროექტების ნუსხა, რომელზედაც საქართველოს პარლამენტის ბიუროს მიერ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი განსაზღვრული იყო წამყვან კომიტეტად და იმსჯელა აღნიშნული პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის საკითხზე.

1. კომიტეტს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიაჩნია VIII მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარმოდგენილი შემდეგი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელება:

აფხაზეთის ა/რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „ გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№ 07-2/482, 05.05.2016);

საქართველოს პარლამენტის წევრის ნოდარ ებანოიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ,,საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ „ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№ 07-3/575, 19.05.2016).

საქართველოს პარლამენტის წევრის გია ჟორჟოლიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№ 07-3/600, 23.06.2016);

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად, „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის“ დოკუმენტი და საქართველოს მთავრობის მოხსენება „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ (№ 07-2/515, 30.09.2016).

2. კომიტეტს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიზანშეუწონლად მიაჩნია პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილული და მიღებული საქართველოს პარლამენტის წევრის მიხეილ მაჭავარიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის განხილვის პროცედურის გაგრძელება.

3. საქართველოს პარლამენტის წევრის ზურაბ ტყემალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/601, 23.06.2016 საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით კომიტეტს დამატებითი კონსულტაციები სჭირდება.

პაატა კვიჟინაძე
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარის პირველი
მოადგილე